

მეხს მელექსეთა ონომასტიკური სივრცე

მოკლე შინაარსი

კრებულში – ვწერ ვინმე მესხი მელექსე – გამოქვეყნებული ლექსების ონიმური ინვენტარი ორგანულად ერწყმის პოეტთა საჭირობორტო რეალიებს, უმეტესად რეალური ვითარების ამსახველია და საინტერესო ინფორმაციის შემცველი ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის შესახებ. მესხი მელექსეების ლექსებში დადასტურებულ ქართულ ტოპონიმთა უმეტესობა ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით ჩვენი ენის გადარჩენილი განძია. ორმოცდახუთი ავტორის შემოქმედება დახუნძლულია ქვეყნების, რეგიონების, საქართველოს კუთხეების, ქალაქებისა თუ სოფლების, მდინარეების, პირთა თუ პერსონაჟთა სახელებით. სახელდებაში ხომ ყოველთვის აირეკლება საზოგადოების სოციალური ცხოვრება და კულტურა.

ონიმები „უთვალავი ფერით“ – ტოპონიმები, ქორონიმები, პიდრონიმები, ორონიმები, ანთროპონიმები, პატრონიმები, პერსონიმები დასხვ. – ფიგურირებენ კრებულის – ვწერ ვინმე მესხი მელექსე – ავტორთა სადექსო ქსოვილში. თითოეული მათგანი სემანტიკური და სტილისტური დატვირთვით არის ჩართული ამა თუ იმ მყარ სადექსო ფორმაში. ავტორთა მიერ გამოყენებული ნაირ-ნაირი საკუთარი სახელები, ონიმთა გამოყენების სპეციფიკა მხატვრული მეტყველების კონტექსტში შეესაბამება მსოფლიო ლიტერატურის განვითარების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ონომასტიკურ rationes communes-ს. დროულია და არა შემთხვევითი ისტორიისა და კულტურის ძველთა დასაცავ სახეობებში ტოპონიმების შეტანის მოთხოვნა.

ონიმებს სამი სახეობის ინფორმაცია შემოაქვთ: ენობრივი, სამეტყველო და ენციკლოპედიური. ტექსტის გააზრების ასონიმთან ომინაციური ფუნქცია რეალიზდება სხვადასხვა მხატვრული ხერხით და გარკვეული ეფექტს ქმნის. მაგალითად, დიაქრონიულ-ქრონოლოგიურ ჭრილში წარმოჩნდება როგორც გორგასალი, ასევე ერეკლე; როგორც ელადა, აფროდიტე, ორფეოსი, ასევე იბერია, ამირანი, მზეჭაბუკი და სხვ.

საკვანძო სიტყვები: ლექსების რეგიონული კრებული; მესხი მელექსეების ონიმური დიაპაზონი.

ONOMASTIC SPACE OF MESKHETIAN VERSE WRITERS

Abstract

A proper name, as an interesting and multifunctional linguistic phenomenon, is conditioned by the geographical location, the combination of historical facts and the religious-cultural foundations of the ethnic groups. Onyms add to a literary work expressiveness, emotionality, and confer aesthetic value, develop perception of an individual, and diversify the imagination area.

The onyms' inventory of poems, published in the collection of works "I, a Meskhetian Verse Writer, Am Writing" _ organically merges with the present-day realia of poets, mostly reflecting the real situation and containing interesting information about this or that populated area of our country. Most of the Georgian toponyms, evidenced in the poems of Meskhetian verse writers, are the surviving treasure of our language in terms of historical geography. In the works of forty-five authors there are plenty of names of the countries, regions, parts of Georgia, cities or villages, rivers, individuals or characters. The naming always reflects the social life and culture of the society. Onyms with "countless colors" _ toponyms, choronyms, hydronyms, oronyms, anthroponyms, patronyms, personyms, etc. _ appear in the poetic fabric of the authors of the collection. Each of them is involved in this or that established poetical form with semantic and stylistic charge. From this perspective, in the Meskhetian verse writers' verse space are treasured the toponyms and hydronyms of all Georgia: Mtkvari, Rioni, Aragvi, Jejveri, Kheori, Phasisi, Kvirila, Usholti Cave, thoroughly and many times – those of Meskhети and Javakheti, the native land of the poets. The various proper names used by the authors, the specifics of the use of onyms in the context of artistic speech correspond to the onomastic rationes communes, formed during the development of world literature.

The onyms bring in three types of information: linguistic, conversational, and encyclopedic. When comprehending the text, the nominative function of the onyms is realized in different artistic ways and creates a certain effect. For example, both Gorgasali and Erekle appear in the diachronic-chronological context; as well as Greece, Aphrodite, Orpheus, as well as Iberia, Amiran, Mzechabuki and others.

Key Words: Regional collection of poems; The onym range of Meskhetian verse writers

შესავალი. ათი წლის წინ ავთანდილ ბერიძემ გადმომცა 2009 წელს დაბეჭდილი სრულიად უმაგალითო კრებული - „ეწერ ვინმე მესხი მეღექსე“. კრებული სწორედაც უმაგალითოა იმიტომ, რომ მასში შესულია „მესხეთში დაბადებულ-დაზრდილთა ლექსად გადმოღვრილი საფიქრ-საწუხარი“ (რედაქტორისეული ანოტაციიდან). რამდენდაც ვიცი, არ მოგეპოვება ქართლელ, იმერელ, კახელ, გურულ, ხევსურ, რაჭველ, ფშაველ, აჭარელ, ლეჩხუმელ, თუშ პოეტთა წიგნად შეკრული ლექსები; კრებული რეგიონული ნიშნით საქართველოს არც ერთი კუთხის პოეტებს არ ღირსებით გარეკანზეა შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის მშვენება – ხერთვისის ციხე (გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“). იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორი ავთანდილ ბერიძეა.

მსჯელობა. იმთავითვე ყურადღება მიიქცია პროტა გვაროვნულმა დომინანტურობამ. ლექსები ეწერინებათ: ალეღიშვილებს, ბალახაძეებს, ბერიძეებს, დიდიმამიშვილებს, ზაზაძეებს, თუმანიშვილებს, კელოშვილებს, ლომიძეებს, მადრაძეებს, მეღაქიძეებს....

სახელდებაში ყოველთვის აირეკლება საზოგადოების სოციალური ცხოვრება და კულტურა. ყოველი ერის ეპიკური ჟანრისათვის (თუკი, რა თქმა უნდა, ამ ერს ლიტერატურის ეს ჟანრი აღმოაჩნდება) დამახასიათებელია საკუთარ სახელთა წარმოჩენა. საკმარისია გავისხენოთ „ილიადას“ მეორე წიგნში ხომალდთა ჩამოთვლა; მოვიხმოთ სახელთა მრავალგზისი ბიბლიისეული ჩამონათვალი (პირველი ნეშტთა, 1-9; მათე 1, 1-16; ლუკა 3,23-38 და სხვ.); „ვეფხისტყაოსნის“ თავი „წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“ და სხვ. ისლანდიურ ლიტერატურაში არსებობდა განსაკუთრებული ჟანრი – თულა, წყობილ-ლექსური ნიმუში, რომელიც მხოლოდ საკუთარ სახელთაგან შედგებოდა (სტებლინ-კამენსკი, 1974: 106).

ყოველი ენის ლექსიკურ ფონდში საკუთარ სახელებს მნიშვნელოვანი და მეტად თავისებური ადგილი უკავიათ. არცთუ იშვიათად ისტორიულ დოკუმენტში მიგნებული ანთროპონიმითა თუ ტოპონიმით შესაძლებელი ხდება ეთნოსის რომელიმე ისტორიული ეპიზოდის შესწავლა, იმის დადგენა, თუ ვინ ცხოვრობდა ამა თუ იმ ადგილას მრავალი წლის წინ. ხშირად

ტოპონიმში შემონახულია ნაკლებად ცნობილი ან უამთა სვლის გამო სრულიად მივიწყებული და იქნებ ზოგჯერ უცნობი ინფორმაციაც კი. ასე, მაგალითად, ვოლგისპირელ ბულგარებს არ გააჩნდათ წერილობითი ძეგლები და მეცნიერებაში არსებული წარმოდგენა ბულგართა ენის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ სლავურსა და უნგრულ ქრონიკებში დაცულ ონომასტიკონს ემყარება. აწ გადაშენებული თურქული ტომის, უთურგურების, დასახელება უნდა იყოს შემორჩენილი ქართულ ანთროპონიმში უთურგ - ი (უთურგაიძე, უთურგაური...). დროულია და არა შემთხვევითი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დასაცავ სახეობებში ტოპონიმების შეტანის მოთხოვნა. წითელი წიგნის არსებობა ყველას მოეხსენება, მაგრამ იქნებ ყველამ არ იცის, რომ წამოჭრილია საკითხი ტოპონიმთა (როგორც ჭეშმარიტი მემატრიანებისა) წითელი წიგნის დაარსების თაობაზე. ამ კრებულიდან ათობით ქართული ტოპონიმი უთუოდ განთავსდება ტოპონიმთა წითელ წიგნში, რომელთა ანალიზი ჰუმანიტარულ მეცნიერებათათვის და, პირველ რიგში, ენათმეცნიერებისათვის უადრესად მნიშვნელოვანია.

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ კრებულში გამოქვეყნებული ლექსების ონიმური ინვენტარი ორგანულად ერწყმის პოეტთა საჭირობორტო რეალიებს. გეოგრაფიული გარემო უმეტესად რეალური ვითარების ამსახველია და ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის შესახებ საინტერესო ინფორმაციის შემცველი. ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით მესხი მელექსეების ლექსებში დადასტურებულ ქართული გეოგრაფიულ სახელთა უმეტესობა გადარჩენილი განძია ჩვენი ენისა (ცეცხლაძე, 2000: 159). ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მესხი მელექსეების შთაგონება შეზღუდულია და როცა ამა თუ იმ ვითარების ამსახველ სურათებს გადმოგვცემენ, კი არ თხზავენ სიტუაციისდა შესაბამისად, არამედ უმეტესად მსჯელობენ საქართველოს არც თუ ისე შორეულ წარსულზე. ჩვენთვის ნათელია, თუ რა ორგანულად ერწყმის ისტორიული და გეოგრაფიული გარემო პოეტთათვის მტკივნეულ თემას. ამდენად, საკითხის ამგვარი აქცენტირება მიზანშეწონილი და აუცილებელიც არის პოეტის სტილის დასახასიათებლად (კიკნაძე, 1998: 126).

და მაინც როგორ „ცხოვრობენ“ ონიმები ამ კრებულში?

წარმოდგენილია სამოცდაათი პოეტის 395 ლექსი. ამათგან ორმოცდახუთი ავტორის შემოქმედება დახუნდულია ქვეყნების, რეგიონების (საქართველოს კუთხეების), ქალაქთა, სო-

ფელთა, მდინარეთა, პირთა, პერსონაჟთა სახელებითა და გვა-რებით.

შეგვხვდა: შოთა ლომსაძესთან: საქართველო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი; დარუბანდი, ბაღდადი, შირაზი, ბენარა, მთაწმინდა ასპინძა; რუსთაველი, ნესტანი, ერეკლე (5-7).

ვლადიმერალელიშვილთან: თბილისი; მთაწმინდა; დავით აღმაშენებელი, რუსთაველი; ფარსმანი, ზვიადი (15-17).

ზაქარია ალელიშვილთან: ჯავახეთი; ქილდა, კარკლები, კუმურდო, კუკუთავი, ღრმა ღელე, აღმალო (18-20).

ნიკოლოზ ალელიშვილთან: საქართველო; ჯავახეთი; აზაგრეთი, ფარავანი; საკაკობის წყარო; ჩახრუხაძე, რუსთაველი (21-25).

იოსებ ბალახაძესთან: საქართველო, ქაღდვა, ჯავახეთი; ვარძია, ქილდა, ვანის ქვაბი, თმოგვი; აბული, ამირანგორა; წუნდის ტბა; მტკვარი, ხრამი; თამარი, ამირანი (27-31).

სიმონ ბალახაძესთან: საქართველო; ქართლი; ფაზისი, ათენი, რომი, თბილისი; კრწანისი, დიდგორი, მარაბდა, ვარაზისხევი; მტკვარი, ალგეთი, არაგვი, ქსანი, ალაზანი, ნილოსი; ამირანი, თეა, ნინო, მარიამი (33-37).

ავთანდილ ბერიძესთან: სამცხე, ვარძია, გრემი, ტროა; პრომეთე, თამარი. ნინო, ლეონიძენი (38-43).

დურმიშხან ბერიძესთან: საქართველო; კრწანისი; ნილოსი; შოთა, მარიამი, რუსთაველი. თემურ-ლენგი, აღა-მაჰმადი (44-47).

ზვიად ბერიძესთან: კოლა, ტაო; ფაზისი; თბილისი; კარალეთი; მტკვარი; ნესტანი (51-54).

მერაბ ბერიძესთან: საქართველო, ერაყი; ქართლი; ბაბილონი, ბაღდადი, ვარძია, ფოკა, ვანის ქვაბები, დამალა, კუმურდო, ბარალეთი, ბურნაშეთი, ღრტილა, სათხე, წყაროსთავი; საღამოს ტბა, ტიგროსი; ხანძთელი, დავითი, ნინო, არსენი, ლაშავიორგი, კოხტა, ცოტნე, იოკიმე (57-64).

ნოდარ გრიგალაშვილთან: საქართველო; ყვიბისი, ბორჯომი; მტკვარი; არუთინი, სოლო დოდაშვილი (69-74).

ელენე დიდიმამიშვილთან: საქართველო; ქართლი, ტაო; ვარძია, ასპინძა, ხერთვისი, ოშკი, ხახული; მტკვარი, ფოცხოვი, ოცხე; თამარ მეფე, რუსთაველი (82-83).

მარგალიტა დიდიმამიშვილთან: შოპენი, ვიქტორ ჰიუგო (89).

ელდარ ზაზაძესთან: ახალციხე; ღონ კიხოტი, დუღისინეა, ლამანჩი (102).

ელვარდ ზაზაძესთან: გოკიის ტყე, საღამოს ტბა (104 - 106).

ნინო თუმანიშვილთან: დიოსკურია, ნიკოლო პაგანიანი (121-124).

მიხეილ თუმანიშვილთან: საქართველო, თურქეთი; მესხეთი; თბილისი; მტკვარი, რიონი, ალაზანი, არაგვი, ცხენისწყალი, ჭოროხი (ლექსის სათურია: ნეტავი კალაპოტი მქნა) (126).

მზიგული ინაშვილთან: მესხეთი; მტკვარი, არაგვი (138).

ვახტანგ ინაურთან: საქართველო; ელადა; მცხეთა, არმაზი, აწყური, თმოგვი, ხერთვისი; ეგოსი; მტკვარი; ფიდიასი, აფროდიტე, ათინა, ორფეოსი, ალკეოსი, ქრისტე, ზევახი, ზადენი, მანფრედი, ეროსი, გორგასალი, მაწყვერელი (139-144).

არსენ კარაპეტთან: საქართველო, სომხეთი; კახეთი, ჯავახეთი; ბავრა, ზვართნოცი, ვარძია, წუნდა, გელათი, წაღკაძორი, მასისი, თმოგვი, გორი. მტკვარი, ლიახვი, თავფარავანი; ნარცისი, ვარდანი (147-151).

ვარლამ კარაპეტთან: კრწანისი, მთაწმინდა, მამადავითი; მტკვარი; ჭავჭავაძე, ცირცე, ტატო ბარათაშვილი (153-154).

შალვა კელოშვილთან: საქართველო; ადიგენი, ჭულე, ზარზმა; მინდია, ვაჟა (155-160).

თინათინ კოლოტაშვილთან: ადამი, ევა, კლეოპატრა, დალი, ნესტანი (162-163).

მარინა კუპატაძესთან: ჯოკონდა, ჯო დასენი (166).

ნინო ლონდარიძესთან: ჯავახეთი, მთა აბული (182).

ცაულინა მაღაზონიასთან: თბილისი; თამუნა (187).

მზია მაღრაძესთან: თბილისი; ფიროსმანი, ზურაბი (197).

გოგიტა მელიქიძესთან: საქართველო; მესხეთი; ასპინძა (205-207).

ვახტანგ მელიქიძესთან: ჯავახეთი; ქვეშა ჭალა, ვერნისტანი, ლია (209).

ნათელა მელიქიძესთან: დადეში; მტკვარი; მზეჭაბუკი (212-213).

კობა მოდებაძესთან: იმერეთი (222-223).

შალვა მოსეშვილთან: გოდერძი(ს ტყეები), ხერთვისი, ბადელა, ვარძია, ზარზმა, მარაბდა, კრწანისი, გარნისი; მტკვარი; ნანული (225-226).

პეტრე მექოშვილთან: საქართველო; ფერსათი (227).

იოსებ ნებაძესთან: საქართველო; საფარა, ბორჯომი (229-300).

იოსებ პაქსაძესთან: ჯაყო (234).

ვაჟა სამსონიძესთან: ელადა; გურჯობოლაზი; ქართლი, სამცხე; მცხეთა, თბილისი, თმოგვი, ვარძია, ზარზმა, საფარა; ეგფურატი; რუსთველი, შოთა (235-236).

ღია სარიშვილთან: საფო (238).

ალექსანდრე ტაბატაძესთან: ანანური; არაგვი; ავთანდილი, ფარსადანი (243-244).

უნა ღონდაძესთან: ფრიდონი, ავთანდილი (248).

ჯულია შირინიანთან: საქართველო; ნინოწმინდა, ამირანის გორა; ჰაოსი, ქართლოსი, დავითი, თამარი (255-256).

ფიქრია ჩხიტიანი: დიდგორი (260).

ელდარ წითლანაძესთან: არაგვი; სიზიფე, ვარლამი. გალა (262-264).

სოსო ჭანტურიასთან: ალგეთი; ქრისტე, ფარნავაზი, მირიანი, არზმანი, გაიმი, გაცი, ნინო, გორგასალი, თამარი, შოთა, დომიტრი, გიორგი (268-269).

შოთა ჯვარიძესთან: თამარი, ნესტანი, ტარიელი; ჯიქია (271-274).

მარიზა ჯიქიასთან: ციმბირი; ტაო, კლარჯეთი; ხახული, ოშკი, იშხანი, ტბეთი, ხერთვისი, დიდგორი, მარაბდა; მტკვარი, ფოცხოვი; ქრისტე, რაია, გუიშპლენი, მოემი, როდენი (275-280).

ონიმები „უთვალავი ფერით“ – ტოპონიმები, ქორონიმები, ჰიდრონიმები, ორონიმები, ანთროპონიმები, პატრონიმები, პერსონიმები და სხვ. – ფიგურირებენ კრებულის ავტორთა წყობილსიტყვაობით ქსოვილში. თითოეული მათგანი შემანტიკური და სტილისტური დატვირთვით არის ჩართული ამა თუ იმ მყარ სალექსო ფორმაში. ავტორთა მიერ გამოყენებული ნაირნაირი საკუთარი სახელები, მხატვრული მეტყველების კონტექსტში ონიმა სპეციფიკა შეესაბამება მსოფლიო ლიტერატურის განვითარების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ონომასტიკურ rationes communes-ს (გასილევა, 2000:75).

ონიმებს სამი სახეობის ინფორმაცია შემოაქვთ: ენობრივი, სამეტყველო და ენციკლოპედიური. ტექსტის გააზრებისას ონიმა ნომინაციური ფუნქცია რეალიზდება სხვადასხვა მხატვრული ხერხით და გარკვეული ეფექტს ქმნის. მაგალითად, დიაქრონიულ-ქრონოლოგიურ ჭრილში წარმოჩნდება როგორც გორგასალი, ასევე ერეკლე; როგორც ელადა, აფროდიტე, ორფოსი, ასევე იბერია, ამირანი, მზეჭაბუკი; ქალდეა, ფაზისი, დიოსკურია და არმაზი, მცხეთა, აწყური...

ეს მშვენიერი წიგნი იწყება შოთა ლომსაძის გულში ჩამწვდომი, ღრმაშინაარსიანი ლექსით, რომლის სათაურიც – ეწერ ვინმე მესხი მეღექსე – საოცრად მიესადაგა კრებულის შინაარსს და მის სახელწოდებადაც სასიკეთოდ იქნა გატანილი.

თითოეული ლექსის იდეურ-მხატვრული ანალიზი კი ლექსმცოდნეთა საჭირისუფლოა.

დამოწმებული ლიტერატურა:

ვასილევა, 2000 – Васильева Н.В., К стилистике имени собственного. RES LINGUISTICA. М., 2000.

კიკნაძე, 1998 – კიკნაძე ი., გეოგრაფიული სახელწოდება მწერლის შემოქმედებაში. ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

სტებლინ-კამენსკი, 1974 – Стеблин-Каменский М. И., Древне-исландская топонимика как материал к истории имени собственного, – Спорное в языкознании, Л-д., 1974.

ცეცხლაძე, 2000 – ცეცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი 2000.